

საჯარო მმართველობის გამოწვევები კორონავირუსის გავრცელების პირობებში

გენადი იაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, genadi_iashvili@hotmail.com

თინათინ იაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, iashvili.tina@gmail.com

ბესიკ შერაზადიშვილი

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, b.sherazadishvili@gtu.ge

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19; საჯარო მმართველობა; ელექტრონული ტექნოლოგიები; სახელმწიფო; ანტიკრიზისული ღონისძიებები.

J.E.L. classification: H40, H41

DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.04>

ანოტაცია. პანდემიის დაწყებიდან, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი მხრივ, გულისხმობს ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას და ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების შესაბამისად წარმართვას, ხოლო მეორე მხრივ, ვირუსის გავრცელებით განპირობებული უარყოფითი გავლენის შემცირებას და ამ მიზნით, კერძო სექტორისა და მოქალაქეების მხარდაჭერას. შექმნილმა ვითარებამ გავლენა იქონია როგორც ქვეყნის მოქალაქეების დიდ ნაწილზე, ისე კომპანიებზე.

საჭიროა ბალანსის დაცვა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფასა და ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენის შემცირებას შორის. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესაძლებლობის ფარგლებში ახორციელებს ღონისძიებებს პანდემიით გამოწვეული ნეგატიური პროცესების შესამსუბუქებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური დაფარვა.

აქტუალური გახდა საჯარო მმართველობაში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის საკითხი. „ელექტრონული მთავრობა“ შესაძლებლობას იძლევა, რომ მოქალაქეებმა სახლიდან გაუსვლელად მიიღონ მათვის საჭირო სხვადასხვა მომსახურებები (მაგ: მომსახურების სააგენტოს საქმიანობა სახელმწიფო სერვისების მიწოდების და დისტანციური მომსახურების სფეროში). უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო მმართველობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება ჩვენს დროში, განსაკუთრებით კორონავირუსის გავლენის პირობებში.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია საჯარო მმართველობის გამოწვევების აქტუალური საკითხები კორონავირუსის გავრცელების პირობებში.

ციტირებისთვის: იაშვილი გ., იაშვილი თ., შერაზადიშვილი ბ., (2021) საჯარო მმართველობის გამოწვევები კორონავირუსის გავრცელების პირობებში. ეკონომიკური პროფილი, №2(22), გვ. 43–49, DOI: <https://doi.org/10.52244/ep.2021.22.04>

ძირითადი ნაწილი

ოცდამეერთე საუკუნის პირველი ოცწლეული მსოფლიოში რადიკალური გარდაქმნების პერიოდია, ხოლო კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ცვლილებები მრავალი მიმართულებით. შეიცვალა ტრადიციული შეხედულებები ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ფასეულობებზე. ამ ცვლილებების ერთგვარი კატალიზატორი გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციასთან კავშირში. სხვა ფაქტორებთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიური ცვლილებები განსხვავდება წინა ტექნოლოგიური წყობისგან იმითაც, რომ ამჯერად მნიშვნელოვანია ისეთი ფუნდამენტური ცნება, როგორცაა ცოდნა. ეს ყველაფერი მოითხოვს სახელმწიფო მართვის სისტემის ადაპტაციას ცხოვრების მოთხოვნებისა და ბიზნესის წარმართვის მიმართ. (გზამკვლევი, 2020)

ამჟამად მსოფლიოში საფუძველი ეყრება ახალ „ელექტრონულ მმართველობას, „ელექტრონულ ტექნოლოგიებს“. საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული კომერციული ოპერაციების წარმოების ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცვლილებები. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია „ელექტრონული მმართველობა“, რომელიც განაპირობებს ცვლილებებს ქვეყნის სოციალური სფეროს განვითარებაში. აღნიშნული გულისხმობს მთელ რიგ ღონისძიებებს. მისი ძირითადი მიზნებია სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად ტექნოლოგიური წანამდგრებების შექმნა (მოქალაქეების ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომის ხარჯზე), აგრეთვე საჯარო მმართველობის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა და მასობრივი გავრცელება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება და იწვევს ცვლილებებს ქვეყნის ცხოვრებაში. ამიტომაც ის უნდა ეყრდნობოდეს კვალიფიციურ კადრებს, ასევე სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ამ სფეროში.

2020 წლიდან კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულმა კრიზისმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საქართველო, ისევე როგორც მთელი მსოფლიო. პანდემიამ გავლენა იქონია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. შესაბამისად, განვითარებული ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის ამ ეტაპზე ძირითადი მიზანი გახდა პანდემიით შექმნილი კრიზისის დაძლევა, ეკონომიკის სწრაფი აღდგენა და განვითარება, თითოეული მოქალაქისათვის სტაბილური და უსაფრთხო გარემოს შექმნა. აღსანიშნავია, რომ სწორი და ეფექტური სახელმწიფო მართვა ხელს უწყობს და აძლიერებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. (პროგრამა, 2020)

საზოგადოების ნდობა პოლიტიკური სისტემის მიმართ ზრდის მთავრობის ლეგიტიმურობას, როდესაც მმართველობა, კერძოდ კი სახელმწიფო მომსახურების მიწოდება არის ეფექტური, საჯარო პირები მოქალაქეებისთვის არიან ხელმისაწვდომნი, სამთავრობო უწყებები და დეპარტამენტები მუშაობენ ერთობლივად, კოორდინირებული და თანმიმდევრული გზით.

ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია „მართვის უნარი“, რათა მოხდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესში, დასახული მიზნების მისაღწევად და ასევე, შესაძლებლებელი იყოს მოსალოდნელი ტენდენციებისა და გამოწვევების პროგნოზირება.

როგორც აღვნიშნეთ, კორონავირუსის პანდემიამ ახალი პრობლემების წინაშე დააყენა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო და მისი ეკონომიკა. ამასთან, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე უნდა იყოს მიმართული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი წლების განმავლობაში. იგი უნდა დაეფუძნოს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს და მიმართული უნდა იყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე, განსაკუთრებით, კოვიდ-პანდემიის შემდგომ პერიოდში. ასევე ბიზნესს და საინვესტიციო გარემოს შემდგომ განვითარებაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას. საჭიროა ყურადღების დათმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებაზე, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორზე.

დღესდღეობით, საქართველოში მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა განვიხილოთ ელექტრონული მმართველობის განვითარება, რაც ასევე მოიცავს ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდას. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, საჯარო უწყებებში შიდა პროცესების გაციფროვნება მეტი ეფექტიანობისთვის, დისტანციური სერვისების კიდევ უფრო მეტად დახვეწა და გაფართოება ხელმისაწვდომობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ხოლო, მეორე მხრივ, მოქალაქეებისა და ბიზნესისთვის გამარტივებული, მომხმარებელზე ორიენტირებული და ხარისხიანი ელექტრონული სახელმწიფო სერვისების შეთავაზება ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.(იაშვილი და სხვა, 2021).

„ელექტრონული მმართველობა“ შესაძლებლობას იძლევა, რომ მოქალაქეებმა სახლიდან გაუსვლელად მიიღონ მათთვის საჭირო სხვადასხვა მომსახურებები (მაგ: მომსახურების სააგენტოს საქმიანობა სახელმწიფო სერვისების მიწოდების და დისტანციური მომსახურების სფეროში). საჯარო მმართველობაში საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება ჩვენს დროში. აღნიშნულ მიმართულებათა მნიშვნელობა ნათლად გამოიკვეთა COVID-19-ით განპირობებული პანდემიით შექმნილი ვითარებაში, როდესაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა დისტანციურად მომსახურების მიღების შესაძლებლობამ, მასობრივი თავშეყრების და რიგების თავიდან ასაცილებლად. უამრავმა მოქალაქემ შეძლო და ისარგებლა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული დისტანციური მომსახურების სხვადასხვა სერვისებით. ასევე, სამომავლოდაც მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერისა და შტამპის დამატებითი

ინსტრუმენტების დანერგვაზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მომსახურების მიღების დროს და საშუალებას მისცემს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს, დისტანციურად და უსაფრთხოდ მიიღონ სახელმწიფო სერვისები.

როდესაც ვსაუბრობთ საჯარო მმართველობის გამოწვევებზე, კორონავირუსის გავრცელების პირობებში, ჩვენი აზრით უნდა აღინიშნოს შემდეგი: (სიჭინავა, 2017)

✓ დისტანციური სერვისების განვითარების მიზნით, საჭიროა შემუშავდეს ეროვნული არქივის მომსახურების ელექტრონული პროგრამა და ახალი კატალოგები. შესაბამისად, გაგრძელდეს მუშაობა ელექტრონული არქივაციის მიმართულებით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ელექტრონული დოკუმენტების საიმედო შენახვა.

✓ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნდა გადაიხედოს და დაიხვეწოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

✓ კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნასა და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზების მიზნით, განხორციელდეს მათი ფუნქციური ანალიზი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ასევე განისაზღვროს სახელმწიფო მმართველობის (ადგილობრივი თვითმმართველობის) ორგანოების მიერ კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებისთვის კანონმდებლობით დადგენილი კონკრეტული მოთხოვნები.

✓ ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, დაიხვეწოს საჯარო ფინანსების განაწილებისა და მართვის სისტემა, აგრეთვე დადგინდეს წლის განმავლობაში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების შესრულების ანგარიშგების, ასევე მათი გამოქვეყნებისა და საზოგადოებისთვის წარდგენის სტანდარტები როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი (2020). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია. სამთავრობო გეგმებისა და ინიციატივების სამსახური.– 60 გვ.
2. სამთავრობო პროგრამა 2021-2024. საქართველოს მთავრობა, 2020. – 47 გვ. ხელმისაწვდომია: URL: http://gov.ge/files/68_78117_645287_govprogramme2021-2024.pdf (უკანასკნელად გადამოწმებული იქნა: 18.09.2021).
3. იაშვილი გ., იაშვილი თ., აბულაძე კ., შერაზადიშვილი ბ., წვერავა ზ., (2021) ელექტრონული მმართველობა და ელექტრონული კომერცია. სახელმძღვანელო. სტუ. თბილისი. –354 გვ.
4. სიჭინავა ქ., (2017) ელექტრონული მართვა, როგორც სახელმწიფო მართვის ინსტრუმენტი და მისი გამოწვევები საქართველოში. თბილისი. – 220 გვ.